,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2023 წლის 10 ივლისის N66/2023 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

თბილისი 2023 წლის 17 აგვისტოს

თსუ რექტორის 2023 წლის 29 ივნისის N151/01-01 ბრძანების - ("სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ"), აღსრულების მიზნით, ,,სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტზე ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად შესარჩევი საკონკურსო და საკონკურსო-სააპელაციო კომისიების შემადგენლობების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2023 წლის10 ივლისის N66/2023 დადგენილებით დამტკიცებული საკონკურსო კომისიის

შემაჯამებელი ოქმი:

<u>სხდომას ესწრებოდნენ</u>:

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე
თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მოადგილე
ია კირვალიძე (თსუ ასისტენტ-პროფესორი) - მდივანი
მაია ბიწკინაშვილი (თსუ ასოცირებული პროფესორი)-წევრი
მაია ხუბუა (თსუ ასოცირებული-პროფესორი)-წევრი

კონკურსი იყო გამოცხადებული **ერთ კათედრაზე- შინაგან დაავადებათა კათედრა**

ასისტენტ-პროფესორი (ბ-კატეგორია) ერთი საშტატო ერთეული.

საბუთი შემოიტანა **ერთმა კონკურსანტმა.**

საბუთების მიღება როგორც კი დასრულდა, კომისიას გადაეცა კონკურსანტის საბუთები დალუქულ მდგომარეობაში.

კომისიამ განიხილა კონკურსანტის მიერ შემოტანილი საბუთები (ოქმი N1) კონკურსანტის საბუთები განხილულ იქნა და შეფასდა კონკურსის მოთხოვნის პირობების და შესაბამისი ფორმების შევსებით. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საბუთები იყო სრულ შესაბამისობაში, ჩაითვალა დადებითად და კონკურსანტი დაიშვა მე-2 ეტაპზე.

კომისიის თავმჯდომარემ დაადგინა, რომ კონკურსანტთან გასაუბრება შედგეს 17 აგვისტოს 15:00 საათიდან - 15:30 საათამდე; აღნიშნული ინფორმაცია გაეგზავნა კონკურსანტს ელექტრონული ფოსტის და სატელეფონო შეტყობინებით. აღნიშნულ საკითხზე ჩატარდა ღია კენჭისყრა და კომისიის ყველა წევრი დაეთანხმა აღნიშნულ წინადადებას.

17 აგვისტოს 15 საათზე ჩატარდა კომისიის სხდომა (ოქმი N2). აღნიშნულ სხდომას ესწრებოდა ყველა წევრი.

<u>15:00 საათიდან -15:30 საათამდე გასაუბრება გაიარა:</u>

მედიცინის დოქტორმა თამარ ლეკაშვილმა; გასაუბრება შეეხო მის სამეცნიერო და სასწავლო საქმიანობას. კომისიის თავმჯდომარის, პროფესორ გია ლობჟანიძის ინიციატივით, კანდიდატმა დეტალურად მიმოიხილა საკუთარი პედაგოგიური გამოცდილება და ის კურსები, რომლის წაკითხვასაც სთავაზობს მედიცინის ფაკულტეტს.

<u>აზრი გამოთქვა კომისიის ყველა წევრმა:</u>

მათ აღნიშნეს, რომ კარგად იცნობენ კანდიდატის სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას და მიაჩნიათ ღირსეულ კანდიდატად თსუ მედიცინის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

იმავე დღეს 16 სთ-ზე გაგრძელდა კომისიის სხდომა (ოქმი N3) კომისიის თავმჯდომარემ შეაჯამა კონკურსის პირველი და მეორე ეტაპი. დადებითად შეაფასა კომისიის წევრების მიერ გამოთქმული მოსაზრებები კონკურსანტის მიმართ.

მოქმედი დებულების თანახმად ჩატარდა ფარული კენჭისყრა.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

საარჩევნო ყუთის გახსნისას მასში აღმოჩნდა 5 ბიულეტენი. გაფუჭებული ბიულეტენები არ აღმოჩნდა. კომისიის ხუთივე წევრმა ხმა მისცა - თსუ მედიცინის ფაკულტეტზე შინაგან დაავადებათა კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე მედიცინის დოქტორ თამარ ლეკაშვილის არჩევას;

კენჭისყრის შედეგები დამტკიცდა ღია კენჭისყრით.

<u>ერთხმად დაადგინეს:</u>

მედიცინის დოქტორი თამარ ლეკაშვილი გამოცხადდეს გამარჯვებულად თსუ მედიცინის ფაკულტეტის შინაგან დაავადებათა კათედრის ასისტენტ-პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

ქალბატონი თამარი მრავალი წლის განმავლობაში წარმატებით მუშაობდა სტუდენტებთან: უწევდა კონსულტაციებს და ხელმძღვანელობდა სამეცნიერო შრომების მომზადებას; ასევე, მაქსიმალურად უწყობდა ხელს კლინიკური უნარების ათვისებაში. კომისიის აზრით, მედიცინის დოქტორი თამარ ლეკაშვილი იმსახურებს თსუ მედიცინის ფაკულტეტზე შინაგან დაავადებათა კათედრის ასისტენტ-პროფესორის (კატეგორია „ბ") აკადემიურ თანამდებობაზე არჩევას;

კომისიის წევრების ხელმოწერა:

გია ლობჟანიძე (თსუ პროფესორი) - თავმჯდომარე

თეიმურაზ დოჭვირი (თსუ ასოცირებული პროფესორი) - მოადგილე

ია კირვალიძე (თსუ ასისტენტ პროფესორი) - მდივანი

მაია ბიწკინაშვილი (თსუ ასოცირებული პროფესორი)

მაია ხუბუა (თსუ ასოცირებული- პროფესორი)